გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 123

2023 წლის 14 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,

ფ/პ ნინა ბიძინაშვილისთვის (პ/ნ 59001079775), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 1 მარტს და 2023 წლის 23 მაისს შემოსულია განცხადებები, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, თარხნიშვილის ქუჩის მიმდებარედ ს/კ 66.45.15.237 მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 22 მაისს N140-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, გორში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.15.237, დაზუსტებული ფართობი - 51.00 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, თარხნიშვილის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 4,900.00 (ოთხიათას ცხრაასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.15.237, ფართობით 51 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, კომერციული დანიშნულების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. გორში, თარხნიშვილის ქუჩის მიმდებარედ ს/კ 66.45.15.237, ფართობით 51 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, კომერციული დანიშნულების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, გადასცეს ფ/პ ნინა ბიძინაშვილს (პ/ნ 59001079775).
2. უძრავი ქონების 51 კვ.მ ფართის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 4,900.00 (ოთხიათას ცხრაასი) ლარით.
3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 960 (ცხრაას სამოცი) ლარით.
4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 2 (ორი) წლის ვადით.
5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს)
6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

GORI MUNICIPALITY ASSEMBLY
218086087

დავით რაზმაძე